MFA of Georgia Digitally signed by MFA of Georgia Date: 2022.05.30 16:58:57 +04'00'

ხელშეკრულება № 117/2241

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
SMP 220001521

ქ. თბილისი **2022 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ვლადიმერ კონსტანტინიდის სახით და მეორეს მხრივ, შპს ახალი ნათება წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თემურ არდოტელის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ავეჯის შესყიდვა და მიწოდება (კლასიფიკატორის (CPV) კოდი/დასახელება - 39121200/ მაგიდები, 39112000/სკამები, 39143310/ყავის მაგიდები).

2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 21786.35 (ოცდაერთიათასშვიდასოთხმოცდაექვსი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების და დღგ-ს ჩათვლით, აწყობა-მონტაჟის და ტრანსპორტირების ხარჯის გათვალისწინებით.

2.2 ერთეული საქონლის ღირებულებები მოცემულია თანდართულ ინვოისში (№ანCR0014031; 20.05.0222), რომელიც შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია საგარეო საქმეთა სამინისტრო, ლეონიძის ქ.3.

4 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების (ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის) განმახორციელებელი პირ(ებ)ის და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5 ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

5.2 მიმწოდებლისთვის შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში 5.1 პუნქტით ანგარისწორებისთვის გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ.

6 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

6.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

6.3.1 განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე; მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

6.4.2 უზრუნველყოს მიწოდებულ საქონელზე 1 (ერთი) წლიან საგარანტიო მომსახურება მ/ჩ აქტის გაფორმების დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა) დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს წუნის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. საგარანტიო მომსახურება ვრცელდება ნივთზე ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში. ნივთზე საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მისი ფიზიკური/მექანიკური დაზიანების შემთხვევაში ან/და მისთვის მიღბული საექსპლუატაციო პირობების დარღვევით გამოწვეულ დაზიანებაზე. საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზი გულისხმობს ნივთისთვის მიღებულ საექსპლუატაციო პირობებში ნორმალური მოხმარების (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით) მიუხედავად გამოვლენილ ხარვეზს, როგორიც შეიძლება იყოს - მექანიზმების მოშლა, კარკასის დეფორმაცია და სხვა მსგავსი. ავეჯის მოხმარების სარეკომენდაციო წესების გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე https://newlight.ge (ავეჯის მოხმარების წესები).

6.4.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

6.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1 ინსპექტირებას/ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ: მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ედუარდ ალიკიანი და დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის დირექტორი ბესიკ დევდარიანი.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.05 პროცენტის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ამ მუხლის 8.2 პუნქტებით გათვალისწინებული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9 ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, ეპიდემია, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების 10%-ისა.

10.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხოლო ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.4.2 პუნქტით განსაზღვრულ ურთიერთობებზე ხელშეკრულება მოქმედებს გარანტიის ვადით.

12 დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1 წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 სხვა პირობები

13.1 საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

14 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. 4
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 83 63 22
ტელ: 2945000
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE 22

მიმწოდებელი

შპს „ახალი ნათება“
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 199
ბანკი: ს/ს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: № GE74PC0053600100013179
ს/კ: № 202066156
ტელ: 555976373; 577227799
ელ. ფოსტა: davitguluashvili@gmail.com

მინისტრის მოადგილე
ვლადიმერ კონსტანტინიდი

აღმასრულებელი დირექტორი
თემურ არდოტელი

Temuri Ardoteli 16001001018

Digitally signed by Temuri Ardoteli
Date: 2022.05.30 18:38:33

NEW LIGHT ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲒᲐ

გამყიდველი : **შპს "ახალი ნათება"**
ს/კ: **202066156**
ბანკი: **ს/ს "პროკრედიტ ბანკი" ცუდ**
ა/ა: **GE74PC0053600100013179**
ბანკის კოდი : **MIBGGE22**

თარიღი : 20.05.2022 ინვოისი **№CR0014031**

გადამხდელი: **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 203836322, ძველი თბილისის (ყოფ.მთაწმ) რაიონი / ჩიტაძის 4, 228-48-58**

#	დასახელება	რაო-ბა	ფასი ₾	თანხა ფას დაკლებების გარეშე ₾	ფასდაკლება ₾	საბოლოო თანხა ₾	მასალა
1	MAJOR COLLECTION CABINET 225X52X82 (VENEZIA/LUCKY/ANTRASITE) კონსოლი ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	2,831.35	3,331.00	499.65	2,831.35	MDF-მეტალი
2	MAJOR COLLECTION COFFEE TABLE 90X60X45 (VENEZIA/LUCKY/ANTRASITE) ჟურნალის მაგიდა ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	780.30	918.00	137.70	780.30	MDF-მეტალი
3	MAJOR COLLECTION TABLE+CONSOLE 257X196X76 (VENEZIA/LUCKY/ANTRASITE) მაგიდა ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	5,511.40	6,484.00	972.60	5,511.40	MDF-მეტალი
4	LOFT COLLECTION MEETING TABLE 600CM 600X160X77 (AFZELIA/BLACK) მაგიდა ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	3,779.10	4,446.00	666.90	3,779.10	MDF-მეტალი
5	LOFT COLLECTION CABINET 220X50X95 (VENEZIA/BLACK) კონსოლი ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	1,947.35	2,291.00	343.65	1,947.35	MDF-მეტალი
6	CONCORDE COLLECTION MANAGER CHAIR საოფისე სკამი ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	1,312.40	1,544.00	231.60	1,312.40	მეტალი-ეკო ტყავი
7	ELIT COLLECTION CABINET 160X40X90 (MARBELLA/BLACK) კონსოლი ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	815.15	959.00	143.85	815.15	მეტალი-ეკო ტყავი
8	ELIT COLLECTION TABLE 180X85X75 (MARBELLA/BLACK) მაგიდა ბრენდი MARWOOD, წარმოება–თურქეთი	1	877.20	1,032.00	154.80	877.20	მეტალი-ეკო ტყავი
9	W-215 Office chair, Black სკამი ბრენდი 34-ANJI FUHE FURNITURE CO.LTD, წარმოება–ჩინეთი	18	218.45	4,626.00	693.90	3,932.10	მეტალი, ტექსტილი
			ჯამი			**21,786.35**	

ავეჯის სპეციალური ფასი მოცემულია ლარში, დღგ-ის, ტრანსპორტირების და აწყობა-მონტაჟის ღირებულების ჩათვლით. მოწოდების ვადა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღე. გარანტია ავეჯზე - 12 თვე (საგარანტიო პირობები დეტალურად გაიწერება ხელშეკრულებაში). შეთავაზება და ფასები ძალაშია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში

ინვოისის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი : **თემურ არდოტელი-აღმასრულებელი დირექტორი**
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

Temuri Ardoteli
(ხელმოწერა)

Digitally signed by Temuri Ardoteli
Date: 2022.05.30 18:59:48 +04'00'

;

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2022 წელი

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მაგიდების, სკამების და ყავის მაგიდების (CPV კოდი: 39121200; 39112000; 39143310) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შპს ახალი ნათებასთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ვლადიმერ კონსტანტინიდი

მინისტრის მოადგილე

ზესიკ დევდარიანი

დეპარტამენტის დირექტორი

დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

ედუარდ ალიკიანი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური